წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №8

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 10 ივნისი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, დავით ფიფია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ცოტნე მესხია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია საკრებულოს, მერიის თანამშრომლები .

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 30 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. **,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

მოისმინეს : 1. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრებმა ლევან შელიამ დავით ბელქანიამ და ავთანდილ გაბელიამ აღნიშნეს , რომ მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში არის წყლის პრობლემა და ეს უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ლიისა და ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა. მათ აღნიშნეს, რომ ამ საკითხს მხარს არ დაუჭერენ.

საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ აღნიშნა, რომ ფახულანის თემში არის წყლის პრობლემა და მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს ამ პრობლემის მოგვარებაში.

მერის მოადგილემ ლაშა ჭანიამ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულებაა ამ წელს მოხდეს ყველა მუნიციპალიტეტში ჯებირების მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სახემწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან რაც ლიმიტი იყო იმას არ გამოაკლდეს და ჯებირების მოსაწყობად ცალკე თანხა გამოიყოს.

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა რომ წლებია წალენჯიხის ცენტრში დგას დამწვარი შენობა და მოუწოდა ადგილობრივ თვიითმმართველობას ამ წელს მაინც გაატარონ სათანადო ზომები რათა მოხდეს შენობის დემონტაჟი.

საკრებულოს წევრმა გოჩა ლიპარტიამ და დალი კვარაცხელიამ აღნიშნეს, რომ პანდემიის შემდგ სამარშრუტო მიკროავტობუსის მძოლებმა თვითნებურად გააძვირეს მგზავრობის საფასური, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და მერიის შესაბამის სამსახურებს მოსთხოვეს სათანადო რეაგირება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 16 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 - ლევან შელია, დავით ბელქანია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N14).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**